ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრის

ლევან ჯაფარიძის

2017 - 2018 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში

მოგახსენებთ, რომ ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი პროპორციული სიით, საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნება“. მე-6 მოწვევის საკრებულოში გახლავართ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი და კანონის შესაბამისად, გარემოს დაცვისა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების წევრი, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრი, სადაც აქტიურად ვარ ჩართული მათ მუშაობასა და სხვადასხვა აქტივობებში.

- 2018 წლის განმავალობაში (ოქტომბრის თვის ჩათვლით) სულ მოწვეულ იქნა საკრებულოს 29 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 424 დადგენილება და 397 განკარგულება.
- „ქართული ოცნების“ ფრაქციას, ჩემი მონაწილეობით ჩატარებული აქვს 33 სხდომა, სადაც განვიხილეთ და სხვადასხვა სახის რეკომენდაციები შევიმუშავეთ 53 საკითხზე.

გარემოს დაცვის კომისია

საანგარიშო პერიოდში, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის კომისიის წევრი, დავესწარი კომისიის მიერ ჩატარებულ 26-ვე სხდომას, აქედან 2-ს

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის რანგში. კომისიის სხდომებზე ჩვენ მიერ შესწავლი და განხილულ იქნა 56 საკითხი:

2017 წელს:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრთა თანამდებობებზე დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2017 წლის 15 ნოემბრის №12-031731944-03 წერილი)

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დ. ნარმანიას 2017 წლის 10 ნოემბრის №12-031731434-03 წერილი) (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2017 წლის 8 დეკემბრის №12-031734272-03 წერილი) - **სულ: 2 პროექტი**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2017 წლის 30 წერილი ნოემბრის №12-031733421-03 წერილი) (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის ა/წლის 22 დეკემბრის #12-031735686-03 წერილი) - **სულ: 2 პროექტი**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2017 წლის 4 დეკმებრის №12-031733868-03 წერილი)

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისიის თამჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის საკითხი.

6. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (მათ შორის, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ცალკეული საკითხები/წინადადებები) - **სულ: 3 პროექტი**

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2017 წლის 19 ნოემბრის №12-03173531-03 წერილი)

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის განსაზღვრაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

2018 წელს:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და რაიონის გამგეობების დებულებების და საშტატო ნუსხების პროექტების თაობაზე („ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ) (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 12 იანვრის №12-0318012172-03 წერილი)

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (მათ შორის, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ცალკეული საკითხები/წინადადებები) **- სულ: 3+1+2+3+3+ 3+3+3+2+1+3+2+3+1=33 პროექტი**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „მწვანე ქალაქის“ დაფუძნების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 12 თებერვლის №12-03180436-03 წერილი)

4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში

ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

5. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსად გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 15 თებერვლის №12-031804637-03 წერილი)

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 11 მაისის №12-03181317-03 წერილი)

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 11 მაისის №15-031814433-03 წერილი)

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ დირექტორის (ვ. ლომჯარია) ინფორმაციის მოსმენა დედაქალაქის ტერიტორიაზე მობინადრე უპატრონო ძაღლებთან დაკავშირებით

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის იანვრიდან ივნისის თვის ჩათვლით (6 თვის) გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა

12. მიწათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმის პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 5 ივლისის №12-03181862-03 წერილი)

გარემოს დაცვის კომიიის სხვა აქტივობები:

1. **2018 წლის 5 ივნისი** - გარემოს დაცვის კომისიამ მონაწილეობა მიიღო გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ შემდეგ ღონისძიებებში:

   1) ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე 47-49 კორპუსების მიმდებარედ არსებული სკვერის სრული რეაბილიტაცია-გამწვანება - აღნიშნული პროექტი განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისა და შპს „ეკოსერვისის“ მიერ.
   2) სს „ვისოლ ჯგუფის“ მიერ გარემოს დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და ელექტროტრანსპორტის გამოფენა. ღონისძიება მიზნად ისახავდა ეკო-მეგობრული ტრანსპორტის პოპულარიზაციასა და გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის გაცნობიერებას.
   3) USAID-ის მხარდაჭერით და CENN (Caucasus Environmental NGO Network)-ის პროგრამა WMTR II-ს ფარგლებში, საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში გამართული ღონისძიება - „უთხარი პლასტმასს არა “.

2018 წლის 26 ივნისი - მონაწილეობა მივიღე სამუშაო შეხვედრებში (თემა: მდ. ვერეს დახურული კალაპოტის პრობლემატიკა).

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2017 წლის ოქტომბერში ჩატარებული არჩევნების შედეგად, მე-6 მოწვევის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე *2017 წლის 15 ნოემბრის N10 განკარგულებით* დამტკიცდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 8 *(რვა)* წევრიანი შემადგენლობა.

კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და/ან წარმოდგენილ პროექტებზე დასკვნის მომზადება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება:

- ✓ ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, სპორტული ობიექტების რეაბილიტაციასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- ✓ დედაქალაქში ახალგაზრდული, კულტურულ - სპორტული პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;
- ✓ ახალგაზრდებისთვის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას;
- ✓ დედაქალაქში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აქტიურ პროპაგანდას, სხვადასხვა სპორტული და ტურისტული პროგრამების შემუშავებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზანს;
- ✓ დედაქალაქის მოქმედ და ვეტერან სპორტის მუშაკთათვის სხვადასხვა სოციალური პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას;
- ✓ ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობას;
- ✓ დედაქალაქში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერას.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის **19** სხდომა, სადაც განვიხილეთ **55** საკითხი, მათ შორის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების, განკარგულებების პროექტები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების ანგარიშები, სპორტის და ახლაგაზრდულ თემატიკასთან დაკავშირებული პროგრამა/პროექტები და განცხადებები, მომზადებულია **16** დასკვნა და **19 კომისიის** სხდომის ოქმი.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხვა აქტივობები:

საანგარიშო პერიოდში, მონაწილეობა მივიღე შემდეგ სამუშაო შეხვედრებსა და ღონისძიებებში:

- ➢ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ახალგაზრდული პორტალის პრეზენტაცია;
- ➢ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებული ფორუმი „ახალგაზრდობის ფორუმი 2018“, რომლის მიზანი იყო მუნიციპალური პრიორიტეტების განსაზღვრაში და პროგრამების განხორციელებაში ახალგაზრდული და სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობის ხელშეწყობა და თბილისში

განათლებისა და ახალგაზრდობის სფეროს განვითარების მიზნით ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა.

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის ერთობლივი, მასშტაბური სტუდენტური პროექტი „სტუ-ს სტუდენტური დღეები 2018 - ჯანსაღი ცხოვრებით თავისუფლებისკენ“ პრეზენტაცია;

- საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ ორგანიზებული შეხვედრა მმკოორდინაციის გაუმჯობესება ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე“. შეხვედრის ფორმატში, ახალგაზრდული პოლიტიკის განხორცილების პროცესში ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის გაძლიერებაზე იმსჯელეს;

- საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ „მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის“ დოკუმენტის განხილვის მიზნით, გაიმართა ორი სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილეს მასობრივი სპორტის განვითარების ხედვა, არსებული გამოწვევები და პრობლემები და მათი გადაჭრის გზები;

- 24 ივნისს თბილისის მერიის ინიციატივით დაფუძნებულ გარბენი - „თბილისი“. აღნიშნული სპორტული ღონისძიება ქალაქში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და მასობრივ სპორტში მოქალაქეთა ჩართვას ისახავდა მიზნად. ღონისძიებაში კომისიის თავმჯდომარე და საკრებულოს სხვა წევრები ჩაერთნენ;

- სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

- თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები 11 სექტემბერს თბილსში, ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდის, ტურინის ,,ივენტუსის“ საზაფხულო კემპის გახსნას დაესწრნენ. საზხულო კემპს თბილისის ზღვასთან მდებარე საფეხბურთო კლუბ ,,ზესტაფონის“ ბაზამ უმასპინძლა, პროექტი, მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა.

- კომისიამ მიმდანრე წლის 14 სექტემბერს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ინიციატივით გამართულ „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ კანონის პროექტის საჯარო განხილვაში მიიღო მონაწილეობა, კანონის პროექტი ემსახურება სპორტის წინაშე არსებულ გამოწვევებზე სათანადო რეაგირება, მათ შორის, ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა სასპორტო განათლება და საკადრო უზრუნველყოფა, თანამშრომლობა სპორტულორგანიზაციებთან, ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი მართვა, სპორტული მედიცინა და სხვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია

საანგარიშო პერიოდში, აქტიურად ვიყავი ჩართული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საქმიანობაში, კომისიის წევრის რანგში და დავესწარი 45 სხდომას.

სხვა ღონისძიებები

ქალაქ თბილისის მუნციპალიტეტის საკრებულოს ვაკის რაიონის (ნუცუბიძის ფერდობი, ვაჟა-ფშაველას კვარტლები) მაჟორიტარ წევრთან გიორგი ბირბიჩაძესთან ერთად, მოსახლეობას ერთი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში ჩავაბარეთ. შეხვედრას ასევე ესწრებოდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი თინათინ ნიბლოშვილი.

გასული ერთი წლის განვალობაში, აღნიშნულ სამაჟორიტარო ოლქში, განახლდა არსებული სკვერები და მოეწყო ახალი სარეკრეაციო-სააზოგადოებრივი სივრცეები, გარკვეულ ქუჩებზე გამოიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაცია და დაიგო ახალი ასფალტის საფარი, რაიონის გამგეობისა და მერიის მუნიციპალური სამსახურების მუშაობის შედეგად მოწესრიგდა შიდა ეზოები და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოები.

მოსახლეობასთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, სადაც მოქალაქეებს ეკოლოგიურ მდგომარეობასა და გარემოს დაცვის მიმართულებებზე საკუთარი ხედვები გავაცანი და ასევე ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და პოპულარიზაციის საკითხებს შევეხე. შეხვედრის დასასრულს აღვნიშნეთ, რომ დედაქალაქის მუნიციპალიტეტის წევრები მზად ვართ განვიხილოთ მოქალაქეთა მხრიდან წამოჭრილი ნებისმიერი საკითხი და კანონის შესაბამისად, მოვახდინოთ სათანადო რეაგირება.